წერილის ნომერი: **18-01223631298**
თარიღი: **29/12/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-0122360389
წერილის თარიღი:	26 დეკემბერი, 2022
განმცხადებელი:	ვლადიმერ აბრამიშვილი
განაცხადის N	AR1919785
მისამართი	ქ. თბილისი, ქუჩა კუმისი #19
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.16.06.057.058
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტი №4631406 თარიღი: 14 აგვისტო, 2019
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	1076
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,კუმისის რეზიდენს“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) მცირე ნაწილზე
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან და მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით

№255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ,,ნ” ქვეპუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

ვინაიდან, სამსახურის 12/19/2022 #18-01223533128 წერილით დადგენილი ხარვეზ(ებ)ი სრულად არ არის გამოსწორებული (წარმოდგენილი უნდა იყოს ტოპო.გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით (შენობა-ნაგებობები, გზა, პარკინგი და სხვა), მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის მანძილების აღნიშვნით (მანძილები მითითებული უნდა იყოს თითოეული ნარგავიდან საპროექტო შენობამდე)) და ინფორმაცია გადასარგავი/მოსაჭრელი მწვანე ნარგავების შესახებ, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს პოზიცია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

დანართი 2 (ორი) ფურცელი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01223533128**
თარიღი: **19/12/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01223403622
წერილის თარიღი:	06 დეკემბერი, 2022
განმცხადებელი:	ვლადიმერ აბრამიშვილი
განაცხადის N	AR1919785
მისამართი	ქ. თბილისი, ქუჩა კუმისი #19
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.16.06.057.058
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტი №4631406 თარიღი: 14 აგვისტო, 2019
ფართობ(ებ)ი:	1076
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,კუმისის რეზიდენს“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) მცირე ნაწილზე
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი საექსპერტო დასკვნა ფოტოსურათები
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება.

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ნ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი №255 დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ და ,,ნ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 29-ე, 30-ე, 35-ე, 38-ე, 39-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

ვინაიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთზე არსებული ნარგავები სრულად არ არის ასახული დოკუმენტაციაში, შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს სრულყოფილი, განახლებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომელიც უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული თითოეული ნარგავის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის ექსპერტის დასაბუთებულ არგუმენტაციას მწვანე ნარგავების გადარგვისა და მათი შემდგომი გახარების თაობაზე, ასევე, მცენარეების (ნუმერაციის მიხედვით) სრულად ამსახველ ფერად ფოტომასალას (A4 ფორმატით).

აქვე მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი უნდა იყოს ტოპო.გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით (შენობა-ნაგებობები, გზა, პარკინგი და სხვა), მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის მანძილების აღნიშვნით (მანძილები მითითებული უნდა იყოს თითოეული ნარგავიდან საპროექტო შენობამდე) და ინფორმაცია გადასარგავი/მოსაჭრელი მწვანე ნარგავების შესახებ.

ამდენად, დაკორექტირებული დოკუმენტაციის წარმოდგენამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გამწვანების პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დ ე ნ დ რ ო ლ ო გ ი უ რ ი გ ე გ მ ა

ქ. თბილისი, კუმისის ქ. №19

ს/კ 01.16.06.057.058

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისი, კუმისის ქ. #9

საკ.კოდ. 01.16.06.057.058

დამკვეთი: შპს „კუმისი რეზიდენსი“ ID 404578186

ტერიტორიის საერთო ფართი: 1076.0კვ/მ

კ3-282.00კვ/მ

ტერიტორიაზე აღენიშნება 28 ძირი ხე-მცენარე.

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპორტო დასკვნა შპს „ტაქსაცია“ ქ.თბილისი 18.12.2022 წლის ფოტომასალით თან ერთვის.

საპროექტო ტერიტორიაზე გადაირგვება 5 ძირი მცენარე:

##9;28-დაფნა;

##22-აკაკი კავკასიური;

##1;2-ხემყრალა

საპროექტო ხე-ნარგავები:

1. იტალიური ფიჭვი-4 ძირი;

2. ორნაკვთიანი გინკგო-4 ძირი.

3. მუხა მარადმწვანე-4 ძირი;

სულ: 17 ძირი მცენარე (5 არსებული გადარგული მცენარე და 12 საპროექტო ხე-მცენარე).

აღნიშნული ხე-მცენარეები შერჩეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ლანდშაფტისა და კლიმატისათვის შესაბამისი ხე-მცენარეების დამტკიცებული სიიდან.

აღნიშნული ხე-მცენარეები შერჩეულია ქ.თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. საპროექტო ტერიტორა გამწვაებულია შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანით.

დენდროლოგიურ პროექტში გათვალისწინებულია უპირატესობა ხეების დარგვა ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებაში და მცენარეების რაოდენობაც განსაზღვრულია შემდეგი პროპორციებით: 20-25კვ/მეტრი დიდი ვარჯის მქონე წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

გამწვანების პროექტი დასრულდება სამშენებლო პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში ვეგეტაციური და აგროტექნიკური პირობების გათვალისწინებით.

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელია:

„კუმისი რეზიდენსი“ ID 404578186

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა იქნება სამი წელი.

ელისო ხარჩილავა

ე.ხარჩილავა

(პ/ნ 62004015900)

მწვანე მშენებლობის ინჟინერი

(AA #0039124)

21/12/2022

არსებული სიტუაციური გეგმა



ქ. თბილისი, კუმისის ქ. №19
ს/კ 01.16.06.057.058
საერთო ფართი: 1076.00კვ/მ

არსებული ხე-მცენარეები:

1;2;3;4;26;27-ხემძრალა
5-კომში
6-ძლიავი
7;16;17-ლეღვი
8;10;18;19;21-ბროწეული
9;28-დაფნა
11-მუშმალა
12-ტყემალი
13;22-აკაკი კაკაჭაშური
14-კარალიოკი
15;25-ჭერამი
20-მსხალი
23-თეთრი აკაცია
24-თუთა

k3-282.0

დენდროლოგიური გეგმა

ქ. თბილისი, კუმისის ქ. №19

ს/კ 01.16.06.057.058

დამკვეთი:
შპს "კუმისი რეზიდენსი"

საერთო ფართი: 1076.00კვ/მ
კ3-280.90კვ/მ

ექსპლიკაცია:

1--Pinus pinea -----4ძირი

2--Ginkgo biloba -----4ძირი

3--Quercus ilex -----4ძირი

გადარგული მცენარეები:

№9;28--დაფნა
№22--აკაკი კავკასიური
№1;2-ხე მწვრალა



მცენარეთა დაკვალვის გეგმა

ქ. თბილისი, კუმისის ქ. №19

ს/კ 01.16.06.057.058

დამკვეთი:
შპს "კუმისი რეზიდენსი"

საერთო ფართი: 1076.00კვ/მ
კვ-280.90კვ/მ

ექსპლიკაცია:

1--Pinus pinea -----4ძირი

2--Ginkgo biloba -----4ძირი

3--Quercus ilex -----4ძირი

გადარბული მცენარეები:

№9;28--დაფნა
№22--აკაკი კავკასიური
№1;2-ხე მცირალა



მცენარეთა ექსპლიკაცია

#	მცენარეთა დასახელება	რაოდენობა	სიმაღლე მეტრებში	ღეროს დიამეტრი	ფორმა	ხნოვანება	მახასიათებლები
1	Pinus pinea იტალიური ფიჭვი	4	3.0-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, საშუალოდ მზარდი
2	Ginkgo biloba ორნაკვთიანი ბინკბო	4	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, სწრაფად მზარდი
3	Quercus ilex მუხა მარადმწვანე	4	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	ჩრდილის მოყვარული, საშუალოდ მზარდი

სამუშაოთა მოცულობა

#	სამუშაოთა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	გასამწვანებელი ტერიტორიის ფართობი	კვ.მეტრი	282.00	
2	გასამწვანებელი ტერიტორიის გასუფთავება და დამუშავება	კვ.მეტრი	282.00	
3	ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ტყის მიწის შეტანით	ცალი	12	
4	ხეების დარგვა	ცალი	12	
5	ადგილების მომზადება ხეების გადასარგავად 50% ტყის მიწის შეტანით	ცალი	5	
6	ხეების გადარგვა	ცალი	5	
7	ტერიტორიების მომზადება ჩვეულებრივი გაზონის მოსაწყობად, 20%ტყის მიწის შეტანით	კვ.მეტრი	282.00	
8	გაზონის მოწყობა (დათესვა ან რულონის დაგება)	კვ.მეტრი	282.00	
9	გაზონის მოვლა	კვ.მეტრი	282.00	
10	ახალ დარგულ ხე-მცენარების მოვლა	ცალი	17	
11	ახლად დარგული ხე-მცენარეების და გაზონის მორწყვა	ყველა მცენარე და გაზონი		

საპროექტო ხე-მცენარეები



Pinus pinea



Ginkgo biloba



Quercus ilex

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს "კუმისი რეზიდენსი"
ID 404578186

საპროექტო ტერიტორია: ქ. თბილისი, კუმისის ქ. 319
ს/კ 01.16.06.057.058

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი:

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი:
ნოემბერი, 2024 წელი

კ-3 282.00მ/კვ

ჩასარგავ ხე-მცენარეთა სახეობები:

1. **Pinus pinea-4ძ**
იტალიური ფიჭვი (სიმაღლე 3-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
2. **Ginkgo biloba-4ძ**
წითელი ტყემალი (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
3. **Quercus ilex-3ძ**
მარადმწვანე მუხა (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)

არსებული მცენარეები:

№9;28---დაფნა
№22--აკაკი კავკასიური
№1;2--ხე მძრალა



გაშენებული ხე-მცენარეებზე პასუხისმგებელი:
შპს "კუმისი რეზიდენსი"
ID 404578186

გასაშენებელი ხე-მცენარებზე მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი

ცხრილი N 1

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	ჯგუფები 1სმ-დან-4სმ-მდე ცალი	4.1სმ-დან-8სმ-მდე ცალი	8.1სმ-დან-12სმ-მდე ცალი	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ხემყრალა (Ailanthus altissima)	31.8				4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
2	ხემყრალა (Ailanthus altissima)	38.2				6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
3	ხემყრალა (Ailanthus altissima)			5		5	ჯანსაღი	ჯგუფში 5 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
4	ხემყრალა (Ailanthus altissima)			6		6	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
5	კომში (Cydonia oblonga)		4	2		3	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, ხილ-კენკროვანი
6	ქლიავი (Prunus domestica)	27.0				4	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
7	ლეღვი (Ficus carica)				3	3	ზეხმელი	ჯგუფში 3 ერთეული, ხილ-კენკროვანი
8	ბროწეული (Punica granatum)		3	1	2	2.5	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, ხილ-კენკროვანი
9	დაფნა (Laurus nobilis)			3	2	2	ჯანსაღი	ჯგუფში 5 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
10	ბროწეული (Punica granatum)		3	3		2	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, ხილ-კენკროვანი
11	მუშმულა (Eriobothrja japolica)	14.3				3	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი, წვერხმელი
12	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	21.3				7	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი, წაქცეული
13	აკაკი (Celtis caucasica)		6			1.5	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა

ცხრილი N 2

14	კარალიოკი (Diospyros Kaki)	20.0				5	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
15	ჭერამი (Prunus armeniaca)	28.6				5	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
16	ლეღვი (Ficus carica)	25.4				3	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი, წაქცეული
17	კაკლის ხე (Juglans regia)	21.3				2.5	ზეხმელი	
18	ბროწეული (Punica granatum)		11	3		2	ჯანსაღი	ჯგუფში 14 ერთეული, ხილ-კენკროვანი
19	ბროწეული (Punica granatum)		10			1.2	ჯანსაღი	ჯგუფში 10 ერთეული, ხილ-კენკროვანი
20	მსხალი (Pyrus sp.)	19.7				1.5	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
21	ბროწეული (Punica granatum)		12	2		2	ჯანსაღი	ჯგუფში 14 ერთეული, ხილ-კენკროვანი
22	აკაკი (Celtis caucasica)	3.8				1	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
23	ცრუაკაცია, თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)	4.7				1.2	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
24	თუთა (Morus alba)		4	2		4	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
25	ჭერამი (Prunus armeniaca)	57.3				10	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი, წაქცეული
26	ხემყრალა (Ailanthus altissima)				3	2	ჯანსაღი	ჯგუფში 3 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
27	ხემყრალა (Ailanthus altissima)		5			1.5	ჯანსაღი	ჯგუფში 5 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
28	დაფნა (Laurus nobilis)	13.3				2	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა

გადაირგვება

ზეხმელი, მოიჭრება

ხილკენკროვანი, მოიჭრება

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე

მწვანე ნარგავების შესწავლის თარიღი:	30. 10. 2022 წ
დასკვნის გაცემის თარიღი:	18. 12. 2022 წ
დასკვნის რეგისტრაციის ნომერი:	N 001/249-ვ

ფართობი (კვმ)	1076.00
საკადასტრო კოდი N	01.16.06.057.058
მისამართი:	ქალაქი თბილისი , ჭუჩა კუმისი N19
მესაკუთრე:	შპს "კუმისი რეზიდენს" , ID ნომერი:404578186
საფუძველი:	საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილება საქართველოს „წითელი წუსხის“ დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ბრძანება ხილკენკროვანი ხემცენარეების წუსხის დამტკიცების და მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილ პირად დავით კობახიძის რეგისტრაციის თაობაზე (ბრძ. N 5-31 02. 06. 2017წ)

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა	28
შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა	28
კვლევის ჩატარების მეთოდი	ვიზუალური

ხმობადი და დაავადებული მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა აღნიშნულია (ხმობადი ან დაავადებული იხ. ცხრილი N 1) და დასკვნას დანართი N 1-ის სახით ერთვის ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტი.

ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა იწერება ჯანსაღი და გრაფაში შენიშვნა აღნიშნულია ექსპერტის რეკომენდაცია ხე-მცენარის გადარგვის შესაძლებლობის თაობაზე. იხ. ცხრილი N 1

მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა თან ერთვის დანართი N 2 (CD დისკზე).

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

ინფორმაცია
მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების შესახებ

ცხრილი N 1

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	ჯგუფები 1სმ-დან-4სმ-მდე ცალი	ჯგუფები 4.1სმ-დან-8სმ-მდე ცალი	ჯგუფები 8.1სმ-დან-12სმ-მდე ცალი	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ხემყრალა (Ailanthus altissima)	31.8				4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
2	ხემყრალა (Ailanthus altissima)	38.2				6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
3	ხემყრალა (Ailanthus altissima)			5		5	ჯანსაღი	ჯგუფში 5 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
4	ხემყრალა (Ailanthus altissima)			6		6	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
5	კომში (Cydonia oblonga)		4	2		3	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, ხილ-კენკროვანი
6	ქლიავი (Prunus domestica)	27.0				4	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
7	ლეღვი (Ficus carica)				3	3	ზეხმელი	ჯგუფში 3 ერთეული, ხილ-კენკროვანი
8	ბროწეული (Punica granatum)		3	1	2	2.5	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, ხილ-კენკროვანი
9	დაფნა (Laurus nobilis)			3	2	2	ჯანსაღი	ჯგუფში 5 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
10	ბროწეული (Punica granatum)		3	3		2	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, ხილ-კენკროვანი
11	მუშმულა (Eriobothrja japolica)	14.3				3	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი, წვერხმელი
12	ტყემალი (Prúnus cerasiféra)	21.3				7	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი, წაქცეული
13	აკაკი (Celtis caucasica)		6			1.5	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

14	კარალიოკი (Diospyros Kaki)	20.0				5	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
15	ჭერამი (Prunus armeniaca)	28.6				5	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
16	ლელვი (Ficus carica)	25.4				3	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი, წაქცეული
17	კაკლის ხე (Juglans regia)	21.3				2.5	ზეხმელი	
18	ბროწეული (Punica granatum)		11	3		2	ჯანსაღი	ჯგუფში 14 ერთეული, ხილ-კენკროვანი
19	ბროწეული (Punica granatum)		10			1.2	ჯანსაღი	ჯგუფში 10 ერთეული, ხილ-კენკროვანი
20	მსხალი (Pyrus sp.)	19.7				1.5	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
21	ბროწეული (Punica granatum)		12	2		2	ჯანსაღი	ჯგუფში 14 ერთეული, ხილ-კენკროვანი
22	აკაკი (Celtis caucasica)	3.8				1	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
23	ცრუაკაცია, თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia)	4.7				1.2	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
24	თუთა (Morus alba)		4	2		4	ჯანსაღი	ჯგუფში 6 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
25	ჭერამი (Prunus armeniaca)	57.3				10	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი, წაქცეული
26	ხემყრალა (Ailanthus altissima)				3	2	ჯანსაღი	ჯგუფში 3 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
27	ხემყრალა (Ailanthus altissima)		5			1.5	ჯანსაღი	ჯგუფში 5 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა
28	დაფნა (Laurus nobilis)	13.3				2	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა

ტერიტორიაზე განთავსებული 28 ნომერი ხე–მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით

თანდართული გადარგვის პროექტის განხორციელების საფუძველზე ხე-მცენარეები, რომელთაც ცხრილი N 1-ში შენიშვნის სახით უწერია შესაძლებელია გადარგვა და შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით გადარგვის შემდგომ ექვემდებარება გადარჩენას

ჯგუფებად მდგომი ხე-მცენარე 14 ნომერი, მათ შორის

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

მაღალი ღირებულების ფოთლოვანი ხე - აკაკი კავკასიური,
დაბალი ღირებულების ფოთლოვანი ხე - თუთა;
ხილ-კენკროვანი სახეობის - კომში, ლელვი, ბროწეული;
ინოვაზიური სახეობის ხე - ხე მყრალი,
კერძოდ:

N 3 ჯგუფში 5 ერთეული ხემყრალა (Ailanthus altissima);
N 4 ჯგუფში 6 ერთეული ხემყრალა (Ailanthus altissima);
N 5 ჯგუფში 6 ერთეული კომში (Cydonia oblonga);
N 7 ჯგუფში 3 ერთეული ლელვი (Ficus carica);
N 8 ჯგუფში 6 ერთეული ბროწეული (Punica granatum);
N 9 ჯგუფში 5 ერთეული დაფნა (Laurus nobilis);
N 10 ჯგუფში 6 ერთეული ბროწეული (Punica granatum);
N 13 ჯგუფში 6 ერთეული აკაკი კავკასიური (Celtis caucasica);
N 18 ჯგუფში 14 ერთეული ბროწეული (Punica granatum);
N 19 ჯგუფში 10 ერთეული ბროწეული (Punica granatum);
N 21 ჯგუფში 14 ერთეული ბროწეული (Punica granatum);
N 24 ჯგუფში 6 ერთეული თუთა (Morus alba);
N 26 ჯგუფში 3 ერთეული ხემყრალა (Ailanthus altissima);
N 27 ჯგუფში 5 ერთეული ხემყრალა (Ailanthus altissima).

ერთეულად მდგომი მცენარეებია 14 ძირი ხე, კერძოდ:

1. *საქართველოს წითელ წუსხაში შეტანილი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე*
   - 2 ძირი (N 9, N 28) დაფნა (Laurus nobilis);
   - 1 ძირი (N 17) კაკლის ხე (Juglans regia);
2. *მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარე*
   - 1 ძირი (N 22) აკაკი კავკასიური - Celtis caucasica;
3. *დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე*
   - 1 ძირი (N 23) ცრუაკაცია, თეთრი აკაცია - Robinia pseudoacacia.
4. *ხილ-კენკროვანი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* 9 ძირი:
   აქედან 12სმ-ზე მეტი დიამეტრისაა 9 ძირი:
   - 1 ძირი (N 14) კარალიოკი - Diospyros Kaki;

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

- 2 ძირი (N 16) ლეღვი - Ficus carica;
- 1 ძირი (N 20) მსხალი - Pyrus sp;
- 1 ძირი (N 11) მუშმულა - Eriobothrja japolica;
- 1 ძირი (N 12) ტყემალი - Prúnus cerasiféra;
- 1 ძირი (N 6) ქლიავი - Prunus domestica;
- 2 ძირი (N 15, N 25) ჭერამი - Prunus armeniaca.

5. *ინოვაზიური სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* 2 ძირი:
   - 2 ძირი (N 1, N 2) ხემყრალა - Ailanthus altissima.
     იხ. ცხრილი N 1.

ალრიცხული 28 ნომერი ხე–მცენარიდან:

1. *ზეხმელია* 10 ძირი ხე-მცენარე, კერძოდ:
   - 1 ძირი (N 14) კარალიოკი - Diospyros Kaki;
   - 3 ძირი (N 7, N 16) ლეღვი - Ficus carica;
   - 1 ძირი (N 20) მსხალი - Pyrus sp;
   - 1 ძირი (N 11) მუშმულა - Eriobothrja japolica;
   - 1 ძირი (N 12) ტყემალი - Prúnus cerasiféra;
   - 1 ძირი (N 6) ქლიავი - Prunus domestica;
   - 2 ძირი (N 15, N 25) ჭერამი - Prunus armeniaca.
   - 1 ძირი (N 17) კაკლის ხე- Juglans regia

2. *ჯანსაღია* 18 ნომერი ხე–მცენარე, მათ შორის ჯგუფებად მდგომი ხე-მცენარე 13 ნომერი და ერთეულად მდგომი ხე-მცენარე 5 ძირი.

ერთეულად მდგომი ჯანსაღი 5 ძირი ხე–მცენარიდან 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრისაა 3 ძირი:
- 1 ძირი (N 28) დაფნა (Laurus nobilis);
- 1 ძირი (N 22) აკაკი კავკასიური - Celtis caucasica;
- 1 ძირი (N 23) ცრუაკაცია, თეთრი აკაცია - Robinia pseudoacacia.

მათი გადარგვა შესაძლებელია და რეკომენდირებულია იხელმძღვანელოთ თანდართული გადარგვის მეთოდოლოგიით.

25 სმ–ზე მეტი დიამეტრისაა 2 ძირი:
- 2 ძირი (N 1, N 2) ხემყრალა - Ailanthus altissima.

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

25 სმ–ზე დიდი დიამეტრის ხე–მცენარეები ითვლებიან დიდტანოვან ეგზემპლარებად და მათი გადარგვა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით.

პატარა ზომის ხეების გადარგვის მეთოდოლოგია

დიამეტრით 25 სმ-მდე

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ხე–მცენარის ამოღება და დარგვა

1. გადარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით - სპეციალური სარგავი მანქანით. ხელით დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს ორის მეთოდით: ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით.
2. ხის გადარგვას მიწის კომით გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, რაც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს მიწის გუნდაში მოთავსებულ ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელ მდგომარეობაში. თუმცა ყველაფერი ეს იმ შემთხვევაშია გარანტირებული თუ გადარგვის პროცესში მიწის გუნდაში არ შეიქმნება არასასურველი რყევები, რაც გამოიწვევს ფესვების დაგლეჯვას, მათგან ნიადაგის მოშორებას.
3. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; მცენარეების ნერგებს უნდა ქონდეთ „მიწის გუნდა“, მიწის დიამეტრით არა ნაკლებ ხის სიმაღლის 1/5-სა , სიღრმით - არა ნაკლებ 1/6-ისა.
4. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
5. სასურველია ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
6. იმ შემთხვევაში თუ მოხდა ხე–მცენარის კომის გარეშე გადარგვა ორმოს ადგილზე ამოიღებული ორმოს სიღრმე და დიამეტრი უნდა იქნას ამოღებული ნერგის ფესვების სიგრძისა და გარშემოწერილობის პარამეტრების შესაბამისად. ნერგების ორმოში დარგვის წინ უნდა შეიკვეცოს ფესვები, სასურველია ამოივლოს წუნწუხში და ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით დარჩეს.
7. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
8. კომით გადარგვის შემთხვევაში და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; უკომოდ გადარგვის შემთხვევაში ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარის პირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებული მიწით;

9. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
10. სასურველია ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
11. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან; მცირე ზომის ნერგი შეიძლება აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი)..
12. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. მოვლის ღონისძიებები დარგვიდან პირველი 3 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. პირველ წელს სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ხეების ირგვლივ ჯამების გამარგვლა - გაფხვიერება და მორწყვა. ერთ მორწყვაზე, თითოეული ხისათვის იხარჯება 10 სათლი (ვედრო) წყალი. მშრალ ამინდში ირწყვება, დეკადის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველდღიურად, დაწვიმებით ირწყვება ხის/ბუჩქების ვარჯი (დილით ან საღამოთი).
2. მოვლის ღონისძიებაა მავნებლების-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. ხეების მოვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ხის ვარჯის ფორმირება. ხის დეკორატიულობა დამოკიდებულია არა მარტო ყვავილისა და ფოთლების სილამაზეზე, არამედ საღ და კარგად ფორმირებულ ვარჯზე.
3. ხის ფორმირება ახალგაზრდობისას საჭიროა ინტესიურად, სიბერეში კი - ხეს აჭრიან ხმელ ტოტებს ან აახაგაზრდავებენ მთელ ვარჯს. ფაქტიურად, გამწვანებაში, ნარგავების მოვლა მიმდინარეობს სიცოცხლის მანძილზე.
4. წიწვოვანი ხეების ვარჯის ფორმირებას არ აწარმოებენ საერთოდ. ხის და ბუჩქების მოვლა გამოიხატება: ხეების გაახალგაზრდავებაში, ფოთოლმცვენი ბუჩქების გაახალგაზრდავებაში, მარადმწვანე და ფოთლოვანი ბუჩქების ფორმირებაში, ბორდიურების კრეჭაში, ღეროებისა და ქერქების მოვლაში და ა.შ.
5. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე სასურველია განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მეთოდოლოგია შემუშავებულია პატარა ზომის 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრის ხე–მცენარეებზე, ხოლო 25 სმ–ზე მეტი დიამეტრის ხე–მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად.

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ
შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი

ექსპერტი
დავით კობახიძე

0178, საქართველო, თბილისი, ი.სიხარულიძის ქ.N 11 ტელ +995 555 606226
11 Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, Post Index 0178, Tel: (+995) 555 606226, Email: davitkob@gmail.com

ხე-მცენარეების ხარისხობრივი შეფასების ამსახველი ფოტომასალა.

საკადასტრო კოდი: N 01.16.06.057.058

მისამართი: ქალაქი თბილისი , ჭუჩა კუმისი N19

by LLC “Forest Company”


• 1
1


2


3


4


5


6


7


8


9


10




12


12


13




15


16


17


18




20


21


22


23


24


25


26


27


28



ტოპო-გეოდეზიური ანაზომი				
დამკვეთი		დირექტორი		ნ. შახოვი
მისამართი	კუმისის ქ. №19	დამუშავება		ა. ანფიმიადი
ს/კ №01.16.06.057.058		მასშტაბი 1:500		ა.თ. 29.10.2022

პირობითი აღნიშვნები			
შენობა	ხეხილის ხე	წყლის ჭა	შენიშვნა:
საყრდენი სვეტი	ფოთლოვანი ხე	კანალიზაციის ჭა	
ფარდული	ფოთლოვანი ხე გამხმარი	სანიაღვრე ჭა	
რეგისტრირებული ნაკვეთი	საყრდენი კედელი	კავშირგაბმულობის ჭა	
	კედელი	გიდრანტი	
	ღობე	ლამპიონი	

"N.M.T."
projektierung-vermessungs firma

"ენ-ემ-ტე"
საპროექტო-საამზომველო ფირმა

ტელ: 2934026



ტოპო-გეოდეზიური ანაზომი					პირობითი აღნიშვნები			
დამკვეთი		დირექტორი		ნ. შახოვი	შენობა საყრდენი სვეტი ფარდული რეგისტრირებული ნაკვეთი	ხეხილის ხე ფოთლოვანი ხე ფოთლოვანი ხე გამხმარი საყრდენი კედელი კედელი ღობე	წყლის ჭა კანალიზაციის ჭა სანიაღვრე ჭა კავშირგაბმულობის ჭა ჰიდრანტი ლამპიონი	შენიშვნა:
მისამართი	კუმისის ქ. №19	დამუშავება		ა. ანფიმიადი				
ს/კ №01.16.06.057.058		მასშტაბი 1:500		ა.თ. 29.10.2022				

F:\SAMUSHAO\NMT\bechedi NMT shaxov anfimiadi